MES 9 22 0000844752

26/07/2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მანანა ჯინჭარაძე - - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;

ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;

მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;

ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;

შალვა მეკრავიშვილი - სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

დავით მღებრიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ახალი ქართული გიმნაზია

მარინე არაბული - სკოლის დირექტორი

შპს სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული საერო სკოლა ბინული
ნინო ჯოგლიძე - სკოლის დირექტორი
მარინა კობახიძე - სკოლის დირექტორი

შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერია
ნინო ზაქარეიშვილი - სკოლის დირექტორი

შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასი
ნანი ფაღავა - სკოლის დირექტორი
4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერ ტები):

შპს ახალი ქართული გიმნაზია
ქეთევან ბოტკოველი
ნინო მჭედლიშვილი

შპს სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული საერო სკოლა ბინული

მაკა ტუკვაძე
ცირა ნიკოლაშვილი

შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერია

გულნარა ხაბურზანია
მაკა ტუკვაძე

შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასი

ნანა მონიავა
თეა გაბელაია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 12 ივლისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ახალი ქართული გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული საერო სკოლა ბინულის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს ახალი ქართული გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და ნინო მჭედლიშვილმა. ექსპერტ, ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა ქალაქ თბილისში, 7 და 8 ივნისს. ექსპერტის განმარტებით, გიმნაზიაში არ დაფიქსირებულა ხარვეზები, არ გაცემულა რჩევები და რეკომენდაციები. ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა ქართული და რუსული სექტორი, სადაც, 10 სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეები, უსაფრთხო გარემოში, იღებდნენ განათლებას.

ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნებოდა წინა წლის სასწავლო გეგმის SWOT ანალიზს. სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავდა ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა კომპონენტს. ექსპერტის განცხადებით, სკოლაში ტარდებოდა მონიტორინგი, დაწესებულება იკვლევდა მასწავლებლების საჭიროებებს და რეგულარულად ეხმარებოდა მათ პროფესიულ განვითარებაში. ქეთევან ბოტკოველის თქმით, სკოლაში არ იყო შექმნილი საგნობრივი კათედრები, დირექტორის მოადგილე, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სერთიფიცირებული სპეციალისტი იყო, ინდივიდუალურად მუშაობდა თითოეულ საგნობრივ ჯგუფთან. მისი მუშაობის შედეგები ასახული იყო სემესტრულ და წლიურ ანგარიშებში.

ექსპერტის თქმით, მიმდინარე წელს სწავლა მიმდინარეობდა ქართულ სექტორზე 1-12 კლასებში, ხოლო რუსულ სექტორზე 1-10 კლასებში. ექსპერტმა იქვე დაამატა, რომ სკოლაში 22 კლასი იყო. სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა სამივე საფეხურზე, ქართულ და რუსულ სექტორზე. ექსპერტის განმარტებით, სკოლა ორიენტირებული იყო სამივე საფეხურის მოსწავლეების შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებაზე. ქეთევან ბოტკოველის

თქმით, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა დამატებით საგნებს, რომელზე დასწრებაც სავალდებულო იყო ყველა მოსწავლისთვის. სკოლა დამატებით საგნებში ასწავლიდა: რუსულ ენას, ხაზვასა და ჭადრაკს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო საგნები: ცეკვა, მეტყველება და მედია წიგნიერება. ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა სამოქალაქო კლუბი - პუბლიკუსი, სატელევიზიო ხელოვნების კლუბი - TV- ინკოგნიტო და გიმნაზია.

ექსპერტ, ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, სკოლამ კანონმდებლობის დაცვით საათობრივი ბადე შეათანხმა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული იყო დისტანციური სწავლების ორგანიზების საკითხებიც და შემუშავებული იყო შესაბამისი საათობრივი ბადე. მიმდინარე წელს, სკოლამ სასკოლო სასწავლო გეგმაში შეცვალა შეფასების სისტემა. ექსპერტის თქმით, მიმდინარე წელს მოსწავლეები ფასდებოდნენ მხოლოდ შემაჯამებელი დავალებების კომპონენტში მიღებული ქულების საფუძველზე. ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, სასწავლო წლის დასაწყისში განისაზღვრა შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა თითოეულ საგანში. სასწავლო წლის განმავლობაში დირექცია აქტიურად ატარებდა მონიტორინგს შესრულებულ დავალებებზე. ქეთევან ბოტკოველმა დაამატა, რომ ექსპერტები გაეცნენ შესრულებულ შემაჯამებელ დავალებებსა და მასწავლებლების პორტფოლიოებს.

ექსპერტის განმარტებით, სკოლა უზრუნველყოფდა მოსწავლეებს გრიფირებული სახელმძღვანელოებითა და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსებით. შპს ახალ ქართულ გიმნაზიას შემუშავებული ჰქონდა მშობლებთან ურთიერთობის დებულება. მშობლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი აქტიურად ერთვებოდნენ სკოლის ცხოვრებაში. ექსპერტის თქმით, სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით, სკოლაში შეიქმნა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელმაც შეუმუშავა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და სასწავლო გეგმის შეფასების სისტემა. ამ კუთხით სკოლაში დაინერგა შეფასების ორი სისტემა: შიდა ხარისხის მართვისა და გარე ხარისხის კონტროლის, რომლებიც ეფუძნებოდა დემინგის ციკლს. ექსპერტის თქმით, სკოლამ წარმოადგინა ჩატარებული მონიტორინგის ანალიზის ანგარიში, სადაც გამოიყენეს 2021-2022 წლის მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა ონლაინ გამოკითხვები. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სასკოლო საზოგადოების 100-მდე წევრმა. ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ ექსპერტები გაეცნენ ზემოხსენებულ კითხვარებს და მათი შინაარსი ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. კვლევის შედეგები გააზიარებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის ვებ-გვერდის საშუალებით.

ექსპერტის განმარტებით, სკოლამ წარმოადგინა 2021-2022 წლის სკოლის ანგარიში, რომელშიც დეტალურად იყო ასახული ყველა იმ ღონისძიების ჩამონათვალი, რაც სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების, განხორციელების, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით დაიგეგმა და ჩატარდა. ექსპერტის თქმით, სკოლის მიერ წარმოდგენილი მექანიზმები მიმართული იყო სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესებისთვის. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, სკოლის ფართობი იყო 2500 კვ.მ. მატერიალური რესურსი, სრულად აკმაყოფილებდა სასწავლო პროცესის საჭიროებებს. სკოლაში იყო 34 საკლასო ოთახი, რომელიც აღჭურვილი იყო მოსწავლეზე ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო ინვენტარით, კერძოდ, სკოლას ჰქონდა 377 ინდივიდუალური მერხი, 400 სკამი, 32 სასკოლო დაფა, 27 კორპის დაფა, მაგნიტის დაფები, 43 პროცესორი, პრინტერი და პროექტორები. ექსპერტის თქმით, სკოლის მფლობელობაში იყო ინტერნეტში ჩართული 46 კომპიუტერი. სკოლას ჰქონდა სააქტო დარბაზი, სამასწავლებლო და რამდენიმე სივრცე დამატებითი მეცადინეობებისთვის. ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ახლად აშენებული სპორტული დარბაზი და მცირე ზომის სპორტული ოთახი. სპორტულ დარბაზში იყო გასახდელები და საშხაპეები, გოგონებისთვის და ბიჭებისთვის. ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლაში არსებული ლაბორატორიის სივრცეები საბუნებისმეტყველი საგნებისთვის, სრულად უზრუნველყოფდა მოსწავლეებში ეროვნული სასწავლო გეგმითა და ეროვნული

საკვალიფიკაციო ჩარჩოთი გათვალისწინებული კომპეტენციების სათანადო დონის მიღწევის შესაძლებლობას. ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორიაში დამონტაჟებული იყო ონკანი, გამწოვი და ასევე აღჭურვილი იყო შესაბამისი ლაბორატორიული ინვენტარით.
სკოლას შემენილი ჰქონდა ვირტუალური ლაბორატორიები - I-VI კლასებისთვის: მათემატიკა, ბუნება, ქართული, მუსიკა, ხელოვნება და - უფროსკლასელებისთვის ფიზიკის ვირტუალური ლაბორატორია, რომელიც განთავსებული იყო ცალკე მოწყობილ შესაბამის სივრცეში.
ექსპერტის განცხადებით, სკოლაში დაცული იყო პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება. სკოლის ყველა სართულზე გამოკრული იყო საევაკუაციო გეგმა, განთავსებული იყო ცეცხლმაქრები. დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა სკოლის საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებული იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. ქეთევან ბოტკოველმა დაამატა, რომ სკოლაში დირექტორის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა საგანგებო მართვის შტაბი. ექსპერტმა, აღნიშნა, რომ სკოლამ შეიმუშავა შპს ახალი ქართული გიმნაზიის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და პირობების დოკუმენტი, რომელიც დამტკიცდა დირექტორის ბრძანებით და შეათანხმა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
ექსპერტის თქმით, სკოლაში მასწავლებლები შეირჩნენ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. სკოლაში დასაქმებული 36 მასწავლებლიდან 26 იყო უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე, 2 მოწვეული მასწავლებელი, 2 მაძიებელი მასწავლებელი, 1- მენტორი მასწავლებელი, 4 დამატებითი სავალდებულო საგნების მასწავლებელი და 1 უსტატუსო მასწავლებელი.
ექსპერტ, ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, სკოლაში არსებული ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი შემუშავებული იყო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვით. დაწესებულებისთვის პრიორიტეტი იყო ქართული ენის სწავლება. ექსპერტმა დაამატა, რომ რუსულ სექტორზე მყოფი მოსწავლეები კარგად ფლობდნენ ქართულ ენასაც.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტ, ქეთევან ბოტკოველს, თუ რა კეთდებოდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისთვის. ექსპერტის თქმით, სკოლას ჰყავდა ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი და ამ მიმართულებით დაწესებულებაში კეთდებოდა მატრიცები და კომპლექსური დავლებები.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ კითხვით მიმართა ექსპერტ, ქეთევან ბოტკოველს თუ რა ღონისძიებებს ატარებდა სკოლა ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიმართულებით. ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, მასწავლებლები ესწრებოდნენ მასწავლებლის სახლის მიერ გამართულ ტრენინგებს, მაგრამ ძირითადად მუშაობდნენ სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის ხელმძღვანელობით. ექსპერტმა დაამატა, რომ პერსონალის განვითარების მხრივ დაიგეგმა სხვადასხვა ღონისძიება, ტარდებოდა მონიტორინგი და ხდებოდა მომენტალური რეაგირება მათ საჭიროებებზე.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს თუ რა მეთოდებით ხდებოდა რუსულ სექტორში მოსწავლეებთან მუშაობა, ჰქონდათ თუ არა მასწავლებლებს ინდივიდუალური გეგმები. ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, აღნიშნა, რომ ქართული ენა გაძლიერებულად ისწავლებოდა რუსული ენის სექტორის მოსწავლეებისთვის. დაწესებულებას ჰქონდა შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლაში ტარდებოდა დამატებითი გაკვეთილები და ბავშვები კარგად საუბრობდნენ ქართულ ენაზე. ექსპერტის თქმით, მშობლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ მოსწავლეებს ოჯახში არ შეეძლოთ ქართულად მეტყველება, რადგან ოჯახის წევრებმა არ იცოდნენ ქართული ენა.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს თუ როგორ მუშაობდა ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი კათედრებთან, რამდენად სრულფასოვნად ხდებოდა ოქმების შედგენა და ტარდებოდა თუ არა ინდივიდუალური შეხვედრები. ქეთევან ბოტკოველის თქმით, დაწესებულებაში ფუნქციონირებდა საგნობრივი ჯგუფები - ქართული

ენა და ლიტერატურის ჯგუფი, მათემატიკისა და ტექნოლოგიების ჯგუფი, ეთნიკური უმცირესობის საგნობრივი ჯგუფები. ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი ინდივიდუალურად ხვდებოდა თითოეულ კათედრას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეული ოქმი სრულფასოვნად იყო შედგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, არაქართულენოვანი მოსწავლეები იყვნენ ადგილობრივი მაცხოვრებლები თუ გარკვეული დროით ჩამოსული პირები. ამასთან, დავით მალაზონია დაინტერესდა, იყო თუ არა ფორმალური ან არაფორმალური განათლების ნაწილი ტოლერანტული უნარების განვითარება.

სკოლის წარმომადგენელის, მაია გურასპაშვილის თქმით, არაქართულენოვანი მოსწავლეები იყვნენ ძირითადად, ადგილობრივად მცხოვრები ეროვნული უმცირესობები. დაწესებულებაში სწავლობდნენ ახლად ჩამოსული მოსწავლეები სხვადასხვა ქვეყნიდან. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლის მისიიდან გამომდინარე სკოლის მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული არაფორმალურ განათლებაში და ეს ყველაფერი ხელს უწყობდა ტოლერანტული და შემწყნარებლური გარემოს შექმნას.

საბჭოს თავმჯდომარემ, კვლავ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, თუ მუშაობდნენ ისინი მასწავლებლების გარდა, დაწესებულების სხვა თანამშრომლებთან მულტიკულტურული მრავალფეროვნების საკითხებზე ცნობიერების ასამაღლებლად.

სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სკოლა ინტენსიურად მუშაობდა აღმზრდელობითი მიმართულებით. სკოლას ჰყავდა მრავალეთნიკური მასწავლებლებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 370 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააყენა საბჭოს წინაშე შუამდგომლობა, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2023 წლის 12 სექტემბრიდან, რადგანაც სკოლას წინა ავტორიზაცია მინიჭებული ჰქონდა 2016 წლის 12 სექტემბრის საბჭოს N97 გადაწყვეტილებით. აღნიშნული შუამდგომლობა გაიზიარეს საბჭოს წევრებმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ახალი ქართული გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 370-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი

მომხრე-11

წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად შპს ახალ ქართულ გიმნაზიას (ს/კ: 200036497) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით, ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 370 - ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 12 სექტემბერი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა და რუსული ენა.

2. **შპს სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული საერო სკოლა ბინულის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაკა ტუკვაძემ და ცირა ნიკოლაშვილმა. ექპერტმა, მაკა ტუკვაძემ განაცხადა, რომ სკოლაში ვიზიტი განხორციელდა 24 და 25 მაისს ჰიბრიდულ რეჟიმში. მისი თქმით, სკოლა აქტიურად თანამშრომლობდა ექსპერტებთან და მაქსიმალურად იყვნენ ჩართული ავტორიზაციის პროცესში. ექსპერტის თქმით, სკოლას ხარვეზი არ დაუფიქსირდა.

ექსპერტ, მაკა ტუკვაძის თქმით, სკოლას შემუშავებული ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა სავალდებულო საგანსა და დამატებით არჩევით საგნებს. ექსპერტის განცხადებით, სკოლა დამატებით მომსახურეობის სახით გახანგრძლივებულ ჯგუფებს, პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით სთავაზობდა ჭადრაკს და აბიტურის საათს მე-12 კლასის მოსწავლეებს, რომლის მიზანი იყო ეროვნული გამოცდებისთვის მომზადება. მაკა ტუკვაძის თქმით, სკოლაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა არაფორმალური განათლების დანერგვას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სკოლაში მოქმედი ნორჩ მკვლევართა კლუბი. ექსპერტის თქმით, სკოლისთვის პრიორიტეტული იყო საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლა. კლუბის წევრები წარმატებით აკეთებდნენ სხვადასხვა ღონისძიებას, რომელშიც მონაწილეობდნენ სკოლის მოსწავლეები. კლუბის პროექტები იტვირთებოდა სკოლის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელებში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში აქტიურად მიმდინარეობდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა. სკოლას ჰყავდა საგნობრივი დანერგვის ორი ექსპერტი, რომლებიც ეხმარებოდნენ მასწავლებლებს. ექსპერტმა დაამატა, რომ კათედრების მუშაობა მიმდინარეობდა სიახლეების განხილვით. კათედრის ხელმძღვანელები ეხმარებოდნენ პედაგოგებს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დაგეგმვაში, მათ შორის კომპლექსური დავალებების განხორციელებაში. მაკა ტუკვაძის თქმით, ყველა კათედრამ შეასრულა კომპლექსური დავალებები და ინტერვიურების დროს მოსწავლეებმა დაადასტურეს, რომ ასრულებდნენ კომპლექსურ დავალებებს და მათთვის კომპლექსური დავალების შესრულება საინტერესო იყო. მაკა ტუკვაძის განცხადებით, მოსწავლეთა უნარების გამომუშავებასა და განვითარებას ემსახურებოდა სკოლაში მოქმედი მოსწავლეთა დარბაზი. ექსპერტის განმარტებით, მოსწავლეთა დარბაზი იყო არჩევითი ორგანო, რომლის ფარგლებში ბევრი ღონისძიება ტარდებოდა. მუშაობა 3 მიმართულებით მიმდინარეობდა. მოსწავლეთა დარბაზის დევიზი იყო „დიდები პატარებისთვის“, რომლის ფარგლებში უფროსმა მოსწავლეებმა დაწყებითი კლასის მოსწავლეეებს გააცნეს სკოლის უსაფრთხოების სისტემა და აუხსნეს თუ რა უნდა გაეკეთებინათ ხანძრის შემთხვევაში. მაკა ტუკვაძის თქმით, სკოლის ცხოვრებაში აქტიურად იყვნენ ჩართული მშობლები. ინტერვიუების დროს აღნიშნა, რომ ხარისხის მართვის ჯგუფი სასწავლო წლის განმავლობაში ატარებდა მშობელთა გამოკითხვებს, რის შემდეგაც შეიმუშავებდა რეკომენდაციებსა და მხარდამჭერ ღონისძიებებს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის

სტრატეგიულ და ერთწლიან სამოქმედო გეგმებში ასახული იყო სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შედეგები. მაკა ტუკვაძის თქმით, სკოლის საერთო კულტურის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სკოლის მიერ დაგეგმილი ზამთრის არდადეგები, რომლის პერიოდში მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები ერთად მიდიოდნენ გუდაურში, რაც ხელს უწყობდა მათ ჰარმონიულ და თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში მოქმედებდა შიდა ხარისხის განვითარების სისტემა, რომელიც ემყარებოდა ,,დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე და განავითარე" ხარისხის ციკლს. ექსპერტის თქმით, სკოლაში ხარისხის ციკლის პროცესი მიმდინარეობდა სამ ეტაპად. ექსპერტის თქმით, პირველ ეტაპზე ტარდებოდა სასკოლო კონფერენცია, სადაც სკოლის დირექტორები ისმენდნენ ყველა სტრუქტურული ერთეულის ანგარიშებს. შემდეგ ეტაპზე დირექტორები აანალიზებდნენ ძლიერ და სუსტ მხარეებს და ბოლოს მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიან გეგმას იმუშავებდნენ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში იგეგმებოდა სადიაგნოსტიკო წერები, დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის. მაკა ტუკვაძის თქმით, ეს ხელს უწყობდა მოსწავლეთა რაოდენობრივი მსჯელობისა და კითხვის კომპეტენციების განვითარებას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა გასაუბრებისას მოსწავლეები საუბრობდნენ საკმაოდ თავდაჯერებულად.

მაკა ტუკვაძემ აღნიშნა, რომ სკოლის საერთო კულტურის მიღწევა იყო ის, რომ მოსწავლეები არ ერიდებოდნენ პრობლემებზე საუბარს. მოსწავლეების სურვილი იყო უკეთეს შენობაში გადასულიყვნენ, რაც სკოლის პრიორიტეტიც იყო და სტრატეგიულ გეგმაშიც ჰქონდათ გაწერილი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა ზოვრეთის ქუჩაზე, 4 სართულიან შენობაში. სკოლის ფართობი იყო 1000 კვ.მ. სკოლას ჰქონდა 17 საკლასო ოთახი, რომელიც აღჭურვილი ყველა საჭირო ინვენტარით. ექსპერტის თქმით, სკოლას ჰყავდა 1 შშმ პირი, რომლისთვისაც ფიზიკური გარემო ადაპტირებული იყო. ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლაში შშმ პირისთვის იყო ლიფტი და შესაბამისად მოწყობილი სველი წერტილი. მაკა ტუკვაძის თქმით,

სკოლის ეზოში მოწყობილია 155კვ.მ ფართის ხელოვნურსაფარიანი ღია სპორტული მოედანი, სადაც დამონტაჟებულია კალათბურთის ფარები. დახურული ტიპის სპორტული დარბაზი სკოლას არა აქვს, თუმცა, უამინდობის დროს იყენებს სკოლის შენობის შესასვლელში არსებულ 60 კვ.მ ფართის გადახურულ სივრცეს.

სკოლას ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. საბუნებისმეტყველო კათედრის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ლაბორატორიაში იყენებდნენ სხვადასხვა ციფრულ რესურსს, ასრულებდნენ უამრავ კვლევას და აქტივობას, რაც მოსწავლეებისთვის საინტერესო იყო.

სკოლაში იყო 28 პედაგოგი, აქედან - 2 მასწავლებელს ჰქონდა მენტორი მასწავლებლის სტატუსი, 2 იყო წამყვანი მასწავლებელი, 18 იყო უფროსი მასწავლებელი, 3 იყო მოწვეული პედაგოგი და 3 იყო უსტატუსო მასწავლებელი, რომელთაგანაც ერთ-ერთი დარეგისტრირებული იყო გამოცდაზე, ერთი კი ემზადებოდა 60 კრედიტიანი პროგრამის გასავლელად.

მაკა ტუკვაძის თქმით, რჩევა გაიცა ექიმის პოზიციაზე ვაკანსია გამოეცხადებინათ. მათ მზაობა გამოთქვეს და ვიზიტის პერიოდშივე გამოაცხადეს ვაკანსია ექიმის პოზიციაზე.

ექსპერტ, ცირა ნიკოლაშვილის თქმით, სკოლის დადებითი მხარე იყო თანამშრომელთა მიკუთვნებულობა ორგანიზაციასთან, სკოლაში არ ფიქსირდებოდა კადრების ხშირი გადინება. ექსპერტმა დაამატა, რომ მისთვის აღსანიშნავი იყო მოსწავლეთა თვითმმართველობისა და მოსწავლეთა დარბაზის მუშაობა.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, გიორგი გიგიბერიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს თუ რა გეგმები ჰქონდათ შენობის პერსპექტივებთან დაკავშირებით. სკოლის წარმომადგენელმა

აღნიშნა, რომ სკოლას შენობა იჯარით ჰქონდა აღებული. მისი თქმით, მიმართეს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და ასევე ორგანიზაციას ,,აწარმოე საქართველოში", რათა სამომავლოდ სკოლას ჰქონოდა საკუთარი შენობა.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა იკითხა თუ რატომ არ ისწავლებოდა V-VI კლასებში „ჩვენი საქართველო“. სკოლის წარმომადგენლის თქმით, ეს საგანი ისწავლებოდა, მაგრამ სახელი „ისტორიის“ სახით იყო ჩასმული. შალვა მეკრავიშვილმა სკოლის წარმომადგენლებს ურჩია გამოესწორებინათ და შეეცვალათ საგნის სახელი.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა იკითხა თუ რატომ იყო ვებ-გვერდზე გათიშული მშობლის განყოფილება. სკოლის წარმომადგენლის თქმით, დაწესებულება მუშაობდა ამ საკითხზე და უახლოეს პერიოდში გამოასწორებდა.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა სკოლის დასახელების კონკრეტული მნიშვნელობით. სკოლის წარმომადგენელის განაცხადებით, დაწესებულება 21 წლის წინ დაარსდა, საბჭოთა კავშირის შემდეგ შემოვიდა ახალი თანამედროვე მეთოდები, ტექნოლოგიები, კოლექტიური სწავლება კი გადავიდა პიროვნებაზე ორიენტირებულ სწავლებაზე. აქედან გამომდინარე სკოლის წარმომადგენლის თქმით, სიტყვა თანამედროვე სწორად შეესაბამებოდა იმ გამოწვევებს რა გამოწვევებიც პერიოდულად იყო საქართველოში. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მათი მიდგომა იყო შინაარსობრივი სწავლება და პიროვნებაზე ორიენტირება.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ განაცხადა, რომ სკოლას არსებული რესურსით თავისუფლად შეეძლო საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 360 მოსწავლისთვის.
საბჭოს წევრმა, გიორგი გიგიბერიამ იკითხა მოსწავლეების რაოდენობის ზრდა შეეხებოდა თუ არა მხოლოდ ერთ ცვლას. სკოლის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ მოსწავლეების ზრდა იყო მხოლოდ ერთ ცვლაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 360 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული საერო სკოლა ბინულის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 360-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული საერო სკოლა ბინულს (ს/კ: 202166324) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 360-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.
საბჭოს სხდომაზე 17:10 საათზე გამოცხადდა შესვენება. საბჭოს სხდომა განახლდა 17:20 საათზე.

3. შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, გულნარა ხაბურზანიამ და მაკა ტუკვაძემ. ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 10 და 11 მაისს. მისი თქმით, დაწესებულება სწავლებას ახორციელებს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდა 170 მოსწავლე. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლაში სასკოლო სასწავლო გეგმა შეათანხმეს პედაგოგიურ საბჭოზე და შემდგომ დირექტორმა დაამტკიცა. სკოლაში ისწავლებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა სავალდებულო საგანი, თუმცა განსხვავებული სქემით ისწავლებოდა პირველი უცხოური ენა. ექსპერტის თქმით, სკოლა სთავაზობდა მოსწავლეებს მესამე კლასიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით მეორე უცხოურ ენას, რუსულ ენას. გულნარა ხაბურზანიამ დაამატა, რომ სკოლა მესამე უცხოურ ენას, გერმანულ ენას სთავაზობდა მეხუთე კლასიდან მეცხრე კლასის ჩათვლით, ხოლო მეათე კლასიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით, გერმანულ ენას, არჩევით საგნად სთავაზობდა. ექსპერტის თქმით, დაწესებულება მოსწავლეებს დამატებით სთავაზობდა რელიგიის ისტორიას, მეტყველების კულტურასა და ჭადრაკს, მაგრამ მისივე განცხადებით დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების საგნების საათობრივი დატვირთვა და ცხრილი არ ემთხვეოდა სსგ-ში აღწერილობას, რაზეც ექსპერტებმა სკოლას რეკომენდაცია მისცეს. გულნარა ხაბურზანიამ განაცხადა, რომ სკოლაში სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცდა 2021 წლის 16 სექტემბერს, რაც ეწინააღმდეგებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მუხლი 21, პუნქტი 6-ს, „სასკოლო სასწავლო გეგმა უნდა დამტკიცდეს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე“.

ექსპერტის, გულნარა ხაბურზანიას თქმით, თემატური გეგმების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ მასწავლებელთა ნაწილი არასწორად იყენებდა 2018-2024 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების ინდექსებს. სკოლა იყენებდა ძველ ინდექსს საგნობრივ სტანდარტებთან მიმართებით. მაგალითად მე-9 კლასში ინგლისურ ენაში უცხ.საბ.III-ის ნაცვლად ეწერა I უცხ.საბ.1. ექსპერტის განცხადებით, მოსწავლეთა შეფასების სისტემაში, სასკოლო სასწავლო გეგმით მოსწავლის დადებითი შეფასება იყო 5 ქულა, თუმცა მოსწავლის შეფასების დებულებაში ეს მაჩვენებელი განისაზღვრებოდა 5,1 ქულით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში მერვედან მეთერთმეტე კლასის ჩათვლით ტარდებოდა დიაგნოსტიკური წერები. ადმინისტრაციასთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ სკოლაში პანდემიის პერიოდში დიაგნოსტიკური წერები არ ჩატარებულა. სკოლამ წარმოადგინა წინა წლების დიაგნოსტიკური წერების ნიმუშები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა ფსიქოლოგი. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ფსიქოლოგი აქტიურად მუშაობდა სსმ მოსწავლესთან, რაც გამოიხატებოდა სსმ მოსწავლის ინტეგრაციით სასკოლო საზოგადოებაში. გულნარა ხაბურზანიამ დაამატა, რომ ფსიქოლოგი პანდემიის პირობებში რეკომენდაციას უწევდა მასწავლებლებს მოსწავლეებთან მუშობაში. ექსპერტის თქმით, სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სსსმ მოსწავლის განმარტებაში არ გვხვდებოდა ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რაც

განსაზღვრული იყო ესგ-ის 41 მუხლის, მეორე პუნქტით. ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული პუნქტის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე. არგუმენტირებული პოზიციის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნული პუნქტი ჩასწორებული სახით.
ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ აღნიშნა, რომ სკოლა სარგებლობდა ორი სასწავლო კორპუსით და მფლობელთან გაფორმებული ჰქონდა იჯარის ხელშეკრულება 2028 წლის ჩათვლით. ერთ-ერთი სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე საკლასო ოთახებში საგაკვეთილო პროცესი არ მიმდინარეობდა (გარდა მუსიკის კაბინეტისა, ამავე შენობაში იყო ბიბლიოთეკა და სამედიცინო კაბინეტი). სკოლაში, პანდემიის გამო, მოსწავლეთა რაოდენობა შემცირდა და სკოლამ მიიღო გადაწყვეტილება, თავისუფალ ფართში ფუნქციონირება დაეწყო სკოლასთან არსებულ საბავშვო ბაღს. სკოლისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფართი ერთმანეთისგან არ იყო განცალკევებული, რაზეც სკოლას მიეცა რეკომენდაცია, გაემიჯნათ ერთმანეთისგან ორი დაწესებულება. გულნარა ხაბურზანიას თქმით, სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, შენობის აზომვით ნახაზზე ჩანდა სკოლისა და ბაღის ფართების გამიჯვნა, თუმცა აღნიშნული ფაქტი არ იყო ასახული საჯარო რეესტრის ამონაწერში და არც იჯარის ხელშეკრულებაში.
ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ აღნიშნა, რომ სკოლაში იყო 19 საკლასო ოთახი, რომელშიც განთავსებული იყო 235 ინდივიდუალური სასწავლო მერხი და სკამი. დაწესებულებას ჰქონდა დახურული სპორტული დარბაზი და ღია სპორტული მოედანი. ექსპერტთა მხრიდან გაიცა ღია სპორტულ მოედანზე ხელოვნური საფარის შეცვლის რეკომენდაცია. არგუმენტირებული პოზიციის დროს, სკოლამ წარმოადგინა 250 კვ.მ. სიგრძის ხელოვნური საფარის ჩუქების მიღება-ჩაბარების აქტი და ფოტო მასალა, თუმცა ფოტო მასალაზე ღია სპორტული მოედანი არ იყო დასრულებული.
ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ აღნიშნა, რომ სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარე იყო შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. სკოლაში ტარდებოდა ტრენინგები საგანგებო სიტუაციების მართვასა და ევაკუაციის სიმულაციებზე. ექსპერტის თქმით, აღნიშნული საკითხი დადასტურდა გასაუბრების პროცესში.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლაში შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდებოდა უსაფრთხოების კამერებით, თუმცა პირველი სასწავლო კორპუსის მესამე სართულის კიბის პერიმეტრი და მეორე სასწავლო კორპუსის ბიბლიოთეკაში ასასვლელი კიბის ნაწილი ვიდეო კამერით ვერ კონტროლდებოდა, რაზეც ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია.
ექსპერტ, გულნარა ხაბურზანიას თქმით, მარეგულირებელ დოკუმენტებში დაფიქსირდა ხარვეზები. წესდების მიხედვით, სკოლის უმაღლესი ორგანო, პარტნიორთა კრება ამტკიცებდა სკოლის საპროცედურო წესებსა და შიდა დოკუმენტებს, თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილ ავტორიზაციის დოკუმენტაციაში ყველა დოკუმენტი დირექტორმა დაამტკიცა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის შინაგანაწესის მუხლი 3.1-ის მიხედვით, სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით 2018-2024 წლების ესგ-ის შესაბამისად, ხოლო დანარჩენ კლასებში 2011-2016 წლების ესგ-ის რედაქციით. დაწყებით და საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება 2018-2024 წლების ესგ-ს საფუძველზე. ექსპერტის თქმით, შინაგანაწესის მიხედვით, სასწავლო წლის განმავლობაში, თუ მოსწავლეს ჰქონდა 1/3-ზე მეტი არასაპატიო გაცდენილი დღეები, სკოლა მოსწავლეს იმავე კლასში ტოვებდა კურსის გამეორების მიზნით. აღნიშნული ეწინააღმდეგებოდა ესგ-ს მუხლი 38-ს, რომლის მიხედვითაც, თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდებოდა მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე. გულნარა ხაბურზანიამ დაამატა, რომ სკოლა მოსწავლეს სტატუსს უჩერებდა 90 საათის გაცდენის შემთხვევაში, რაც ასევე ეწინააღმდეგებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 11/ნ ბრძანებას - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“.

ექსპერტის თქმით, სკოლა აკადემიური ჩამორჩენის გამო, მოსწავლეს დისციპლინურ სახდელს ახდევინებდა, რაც არასწორი იყო, ვინაიდან დისციპლინური სახდელის დადება არ უნდა განხორციელებულიყო აკადემიური ჩამორჩენის დროს.
გულნარა ხაბურზანიას თქმით, მიგნებების გაცნობისას სკოლამ განაცხადა, რომ ცენტრში გადაგზავნილი იყო სხვა შინაგანაწესი. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა განსხვავებული შინაარსის შინაგანაწესი, რომელიც დაამტკიცა პედაგოგიურმა საბჭომ 2021 წლის 16 ოქტომბერს. ექსპერტის თქმით, ორივე შინაგანაწესი დაამტკიცა სხვადასხვა ორგანომ, ამიტომ ვერ დგინდებოდა რეალურად რომელი დოკუმენტით რეგულირდებოდა სკოლაში სასწავლო პროცესი. არც ერთი მათგანი არ იყო განთავსებული სკოლის ვებ გვერდზე. ექსპერტმა დაამატა, რომ არგუმენტირებული პოზიციის დროს, დაწესებულებამ წარმოადგინა პარტნიორთა კრების მიერ 2022 წლის 24 ივნისს დამტკიცებული შინაგანაწესი. სკოლის წესდებით, შინაგანაწესს ამტკიცებდა პარტნიორთა კრება, ასევე ბრძანების საფუძველში მითითებულ ჩანაწერს ,,წესდების თავი მე-2 მუხლი მე-5-ის პირველი პუნქტის ,,მ“ ქვეპუნტი“- საერთოდ არ მოიცავდა სკოლის მიერ მოწოდებული წესდება.
ექსპერტ გულნარა ხაბურზანიას თქმით, სკოლას ჰყავდა 35 პედაგოგი, რომელთაგან 14 იყო სტატუსის გარეშე. უსტატუსო მასწავლებლებიდან 1 აპირებდა გამოცდაზე გასვლას, ხოლო 7 მასწავლებელი არ აპირებდა სკოლაში საქმიანობის გაგრძელებას. ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლას არ ჰქონდა პერსონალის ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობები, თუმცა არგუმენტირებული პოზიციის დროს, დაწესებულებამ ყველა თანამშრომლის ცნობა წარმოადგინა.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და დაწესებულების წარმომადგენელთან.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა, თუ რით იყო განპირობებული სკოლის საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტში, შინაგანაწესში გაწერილი დაწესებულებას ხისტი პოლიტიკა და რეალურად მოქმედებდა თუ არა ეს პოლიტიკა. ექსპერტ, გულნარა ხაბურზანიას თქმით, იგივე კითხვა ექსპერტებმაც დაუსვეს დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რა იყო საფუძველი მკაცრი შინაგანაწესის შექმნისა და მათ უპასუხეს, რომ ეს ჩანაწერები იყო ტექნიკური შეცდომა. ექსპერტის, თქმით, სკოლის დოკუმენტაცია იყო მოუწესრიგებელი და დაწესებულება ავტორიზაციის პროცესისთვის არ იყო სათანადოდ მომზადებული. ექსპერტმა დაამატა, რომ სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს დროს, არ დადასტურდა მკაცრი პოლიტიკის აღსრულების მაგალითები.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ იკითხა, თუ რატომ არ გადიოდნენ გამოცდაზე უსტატუსო მასწავლებლები. ექსპერტის, გულნარა ხაბურზანიას განმარტებით, 8 უსტატუსო მასწავლებლიდან 1 გადიოდა მხოლოდ გამოცდაზე, ხოლო დანარჩენი 7-ს არ სურდა გამოცდაზე გასვლა.
საბჭოს წევრმა, გიორგი გიგიბერიამ კითხვით მიმართა ექსპერტებს, სკოლას ჰყავდა თუ არა იურისტი და რა მდგომარეობამდე იყო მისული სკოლამდელ დაწესებულებასა და სკოლას შორის გამიჯვნის პროცედურა. ექსპერტის, მაკა ტუკვაძის თქმით, სკოლას ჰყავდა იურისტი. მან დაამატა, რომ სკოლასა და სკოლამდელ დაწესებულებას შორის გამიჯვნა მხოლოდ აზომვით ნახაზზე იყო ნაჩვენები, საჯარო რეესტრსა და იჯარის ხელშეკრულებაში კი არ ფიქსირდებოდა გამიჯვნის პროცესი.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა იკითხა, თუ რატომ ჰქონდა სკოლას საქმიანობის მარეგულირებელ აქტებში მრავლობითი ხარვეზი მიუხედავად იმისა, რომ იურისტი ჰყავდათ. ექსპერტ გულნარა ხაბურზანიას თქმით, ვიზიტის პერიოდში იგივე შეკითხვა მათაც დაუსვეს დაწესებულების წარმომადგენლებს და ვერ უპასუხეს მოცემულ კითხვას. თამარ მამსიკიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რით ხსნიდნენ სამივე სტანდარტის მიხედვით გამოვლენილ შეუსაბამობებს. სკოლის დირექტორის, ნინო ზაქარეიშვილის თქმით, მისი შეფასებით, სკოლას მეტი ყურადღება უნდა დაეთმო ავტორიზაციის მოსამზადებელ

პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე. მისი განმარტებით, სკოლა პანდემიური მდომარეობიდან გამომდინარე გადართული იყო მოსწავლეებისთვის ხარისხიანი განათლების მიწოდებაზე და სათანადო ყურადღება ვერ დაეთმო მარეგულირებელი აქტების მოწესრიგებას.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა იკითხა, თუ რატომ იყო მისიაში ყურადღება გამახვილებული მშობლიურ და უცხოურ ენებზე. ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ განმარტა, რომ სკოლაში გაძლიერებულად ისწავლებოდა ქართულ ენა და ლიტერატურასთან ერთად, უცხოური, რუსული და გერმანული ენები.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რატომ ეწერა სასკოლო სასწავლო გეგმაში რომ დისციპლინური დარღვევები აისახებოდა აკადემიურ მოსწრებაზე?
სკოლის დირექტორის, ნინო ზაქარეიშილის თქმით, დოკუმენტაციის გადმოგზავნის დროს, დაწესებულებამ შეცდომით გადმოაგზავნა რიგი საბუთები და სკოლაში დისციპლინური სახდელები არ ჰქონდათ. გადმოგზავნილი დოკუმენტაცია იყო სხვა სკოლის, რომელშიც ასევე დასაქმებული იყო სკოლის წარმომადგენელი.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, სკოლის არსებობის მანძილზე ჰქონდათ თუ არა დისციპლინური წარმოებები. სკოლის დირექტორის თქმით, სკოლის მოსწავლეების მხრიდან იყო დისციპლინური გადაცდომები, მაგრამ ეს არ აისახებოდა მათ აკადემიურ მოსწრებაზე.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ იკითხა, შეცდომით გადმოგზავნილ დოკუმენტებში იკითხებოდა თუ არა სხვა სკოლის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია. გულნარა ხაბურზანიას თქმით, ექსპერტები გაეცნენ ორ შინაგანაწესს, რომელიც სხვადასხვა სუბიექტების მიერ დამტკიცდა და არ იკითხებოდა სხვა სკოლის მაინდეტიფიცირებელი ინფორმაცია.
საბჭოს წევრმა, გიორგი გიგიბერიამ იკითხა, თუ როგორ მოაგვარებდნენ სკოლისა და სკოლამდელი დაწესებულების ერთ შესასვლელს, თუ ჰქონდათ პროექტი მომზადებული და წინა ავტორიზაციის დროს თუ იყო ამ საკითხზე საუბარი. ექსპერტის, მაკა ტუკვაძის განმარტებით, პანდემიის პერიოდში სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა შემცირდა და ამიტომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება დააარსეს, რათა ნაწილობრივ აღმოეფხვრათ ეკონომიკური ზარალი, შესაბამისად, წინა ავტორიზაციის დროს ამ თემაზე საუბარი არ ყოფილა.
სკოლის წარმომადგენლის, ნინო ზაქარეიშვილის განმარტებით, აზომვითი ნახაზი გაკეთებული და გადმოგზავნილი იყო, ამასთან, იმ შენობაში სკოლის მოსწავლეები მხოლოდ ბიბლიოთეკით სარგებლობენ.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, ავტორიზაციისთვის წარდგენილ დოკუმენტაციაზე ჰქონდა თუ არა ინფორმაცია? სკოლის დირექტორის თქმით, ჰქონდა ინფორმაცია დოკუმენტაციაზე, მაგრამ ეს შეცდომები აღმოაჩინეს ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, თუ რატომ არ ჰქონდა სკოლას ექსპერტთა ვიზიტამდე მასწავლებელთა ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობა და ეს ყველაფერი ნიშნავდა თუ არა იმას, რომ სკოლის დირექტორმა არ იცოდა, თუ ვის ანდობდა მოსწავლეების განათლებას. სკოლის დირექტორის, ნინო ზაქარეიშვილის, თქმით, მას სკოლაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება ჰქონდა და სკოლის თითოეულ მასწავლებელზე ჰქონდა ინფორმაცია. მისი განმარტებით, მასწავლებლების უმეტესობა შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიას დაარსების დღიდან ასწავლიდა მოსწავლეებს. ნინო ზაქარეიშვილმა დაამატა, რომ მათ ნამდვილად დააგვიანეს ცნობების აღება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა სკოლის წარმომადგენელთან.
საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიას ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 269-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე-0
წინააღმდეგი-11
გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, მე-14 მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიას (ს/კ: 211358449) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განმარტა, რომ საბჭოს გადაწყვეტილება დაეფუძნა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ შეუსაბამობებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით. სკოლაში გამოვლენილი დარღვევები იყო მნიშვნელოვანი და მრავლობითი ხასიათის, რაც ინსტიტუციის მდგრად განვითარებას და მოსწავლეზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროცესს ვერ უზრუნველყოფდა. ამასთან, ზეპირ განხილვაზე დაწესებულების მიერ არ იქნა წარმოდგენილი ისეთი შინაარსის არგუმენტები და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მისცემდა საბჭოს იმის შეფასების შესაძლებლობას, რომ სკოლა გამოხატავდა მზაობას, გამოესწორებინა ხარვეზები და უზრუნველყო საქმიანობის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით. დავით მალაზონიამ, დასძინა, რომ მისთვის გაუგებარი იყო სკოლის სატიტულო ფორმის გამოყენება სხვა დაწესებულების შინაგანაწესსა თუ წესდებაზე.

4. **შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნანა მონიავამ და თეა გაბელაიამ.
ექსპერტმა, ნანა მონიავამ, სკოლის ძლიერ მხარედ დაასახელა დაწესებულებაში კოორდინატორების არსებობა, რომლებიც ასრულებდნენ კლასის დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობებს, თუმცა, თავად არ მონაწილეობდნენ გაკვეთილის წარმართვაში. ექსპერტის თქმით, კოორდინატორები აქტიურად იყვნენ ჩართული მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან კომუნიკაციაში. კოორდინატორები სკოლას ეხმარებოდნენ სასწავლო შედეგების, არსებული სიტუაციების ანალიზში, სუსტი და ძლიერი მხარეების დანახვასა და საბოლოო შედეგების გაუმჯობესებაში. ექსპერტების კითხვაზე, იყვნენ თუ არა კოორდინატორები გაკვეთილის ფასილიტაციაში ჩართული, სკოლის წარმომადგენლებმა

განმარტეს, რომ კომპეტენციისა და საკმარისი ცოდნის შემთხვევაში კოორდინატორები ჩართული იყვნენ გაკვეთილის ფასილიტაციაში.
ექსპერტმა, ნანა მონიავამ განაცხადა, რომ სკოლა მდებარეობდა ქ. ბათუმში, შვიდსართულიან შენობაში. მისივე განმარტებით, ინფრასტრუქტურა იყო მოწესრიგებული. ექსპერტის თქმით, ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდა 821 მოსწავლე, თუმცა, ინფრასტრუქტურისა და სასკოლო ინვენტარის რაოდენობის გათვალისწინებით, შესაძლებელი იყო მეტი მოსწავლის მიღება. სკოლაში ფუნქციონირებდა ორი სივრცე სპორტის გაკვეთილებისათვის. ერთ-ერთი მათგანი მდებარეობდა დაწესებულების პირველ სართულზე, ხოლო მეორე იყო საკონფერენციო დარბაზი, სადაც ასევე შეიძლებოდა ჩაეტარებინათ სპორტის გაკვეთილები. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი შემუშავებული, თუმცა, ის არ იყო შეთანხმებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, რის შედეგადაც, ექსპერტების მხრიდან, გაიცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნული წესი სკოლას შეეთანხმებინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ექსპერტმა დაადასტურა, რომ რეკომენდაცია სკოლამ გაითვალისწინა და წერილობით მიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მაგრამ საბოლოო შეთანხმება ჯერ არ იყო მიღწეული.
ექსპერტმა, ნანა მონიავამ განაცხადა, რომ დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმა შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. მისივე განმარტებით, სკოლა ცდილობდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვას, რის დასტურადაც, ექსპერტმა მოიყვანა შემაჯამებელი სამუშაოების, მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი გეგმების, კომპლექსური დავალებების მაგალითები. ნანა მონიავას თქმით, სკოლაში ფუნქციონირებდა მოსწავლეთა თვითმართველობა. ისინი აქტიურად იყვნენ ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. მოსწავლეთა თვითმართველობა აკეთებდა სხვადასხვა პროექტს, რომელში მონაწილეობა შეეძლოთ სკოლის მოსწავლეებს. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ საათობრივ ბადეში განხორციელებული ცვლილება არ აღემატებოდა 25%-ს. ნანა მონიავას განმარტებით, კათედრები ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობდნენ, სკოლაში ხშირად ტარდებოდა ტრენინგები. ექსპერტმა დაამატა, რომ მოსწავლეები და მშობლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, მიმართა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ სასკოლო საათობრივ ბადეში განხორციელებული ცვლილებები აღემატებოდა 25%-ს. კონკრეტული მაგალითის საფუძველზე, ეკატერინე კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ მეექვსე კლასში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა და ბუნებისმეტყველებას, ჰქონდათ მოკლებული 1 საათი, ხოლო ინგლისურ ენას დამატებული ჰქონდა 2 საათი, მათემატიკას 1 საათი, რის შედეგადაც, 28-საათიანი ყოველკვირეული დატვირთვის მაგივრად, კლასს 29-საათიანი დატვირთვა ჰქონდა. ეკატერინე კვირიკაშვილმა მიმართა ექსპერტებს დაეზუსტებინათ, ცვლილებების პროცენტული მაჩვენებელი. საბჭოს წევრის კითხვა, ასევე, ეხებოდა სკოლის მისიას, რომლის მიხედვითაც, ხდებოდა მოსწავლეების მედია-ტექნოლოგიების უნარებით აღჭურვა და სამოქალაქო უნარებისა და მსოფლიო ფასეულობების ფორმირების ხელშეწყობა. ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, რამდენად იყო თავსებადი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საათობრივი ბადე და განხორციელებული ცვლილებები სკოლის მისიასთან.
ნანა მონიავამ განმარტა, რომ ექსპერტების მიერ შესწავლილი სასწავლო გეგმების საფუძველზე, გაირკვა, რომ სკოლის მიერ აქცენტი კეთდებოდა ტექნოლოგიების განვითარებასა და სწავლებაზე, რაც ინტეგრირებული იყო სხვა საგნების სწავლებაშიც. ექსპერტის თქმით, სკოლას ჰქონდა დამატებითი მომსახურება დღის მეორე ნახევარში, სავალდებულო გაკვეთილების

შემდეგ. დამატებით მომსახურებაში ისწავლებოდა ინგლისური ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა, ისტორია, ქიმია და ბიოლოგია. ამავე მიზნით, კეთდებოდა არაერთი პროექტი და აქტივობა. ენების სწავლება კი ხორციელდებოდა სავალდებულო საგნების სახით.
სკოლის წარმომადგენელმა, ინდირა ანანიძემ, მისიასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სკოლაში ჰქონდათ ბევრი პორტატული კომპიუტერი, ცალკე ოთახი იყო მოწყობილი კომპიუტერებისათვის, ასევე, თითოეულ საკლასო ოთახში იყო კომპიუტერი და დამონტაჟებული პროექტორი. დღის მეორე ნახევარში მოსწავლეები რჩებოდნენ კოორდინატორების მეთვალყურეობის ქვეშ და ასრულებდნენ დავალებებს ელექტრონულად. სამოქალაქო აღზრდის თვალსაზრისით, სკოლაში არსებობდა კლუბები. მოსწავლეები მუშაობდნენ სხვადასხვა პროექტზე, ჰქონდათ გაცვლითი ღონისძიებები და თანამშრომლობდნენ სასამართლოსთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, განაცხადა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა საათობრივი ბადის მესამე მოდელი, რომელიც, აუცილებლად, უნდა შეთანხმებულიყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, განემარტათ, რატომ იყო მითითებული მეხუთე და მეექვსე კლასების საათობრივი ბადის ჩანაწერში ,,საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის“ საგანი. სკოლის წარმომადგენელმა, ინდირა ანანიძემ განმარტა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა ტექნიკურ ხარვეზს და სკოლის მხრიდან გამოსწორდებოდა.
საბჭოს წევრმა, მანანა ჯინჭარაძემ, აღნიშნა, რომ სკოლის ძლიერი მხარე იყო კოორდინატორების არსებობა. მისივე თქმით, ის მიესალმებოდა ამგვარ პრაქტიკას.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაეთანხმა საბჭოს წევრს, და აღნიშნა, რომ სკოლაში მომუშავე კოორდინატორების არსებობა ნამდვილად კარგი პრაქტიკის მაგალითი იყო.
დაწესებულების იურისტმა განაცხადა, რომ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესთან დაკავშირებით, ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია სკოლამ გაითვალისწინა და დაწესებულებამ წერილობით მიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. იურისტმა განმარტა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა არაერთი კლუბი, რომელთაგან ერთ-ერთი იყო სამოქალაქო კლუბი, რომლის ინიციატივითაც უნდა განხორციელებულიყო ჟესტური ენის სწავლება. მისივე განმარტებით, სკოლა აღნიშნული აქტივობის განხორციელების მიზნით, თანამშრომლობდა არასამთვარობო ორგანიზაციასთან-,,ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 840 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 840-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე-11
წინააღმდეგი-0
გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“

ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასს (ს/კ: 245546734) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 840-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მომავალი წლის სასკოლო სასწავლო გეგმის საათობრივი ბადის მესამე მოდელი შეეთანხმებინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოედგინათ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 19:10 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა